



დანართი №2

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ კუჭატნის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

წევრები:

მამუკა ხამხაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი)

შორენა გაგუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

მაია შამუგია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

სოფიო მგალობლიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

თამარი ჩიმაკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ჟანა ბელქანია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ		
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება		სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ კუჭატნის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა		საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი		241558569

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია		
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)		ყვარლის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი		ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელი კუჭატანი მე-4 ქუჩა N 20;
საფოსტო ინდექსი		4808
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი		https://skolebi.emis.ge/schools/1322?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა		kuchatani@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი		577122313

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 6240000607101; 31/05/2024	ცვლილება MES 6 24 0000628559; 06/06/2024
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	17,18 ივნისი 2024წ.	

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.



N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი	ქართული	ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელი კუჭატანი, მე-4 ქუჩა N 20; შენობა-ნაგებობა 1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო	ქართული	ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელი კუჭატანი, მე-4 ქუჩა N 20; შენობა-ნაგებობა 1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო	ქართული	ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელი კუჭატანი, მე-4 ქუჩა N 20; შენობა-ნაგებობა 1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

მიმდინარე წლის 17,18 ივნისს შედგა სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ კუჭატანის საჯარო სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.

ექსპერტების ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე.

ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით (ადგილზე ვიზიტი), რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენლებს- სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს, სკოლის ბიბლიოთეკარს, ექიმს და სხვა პირებს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო ყველა საგნობრივ ექსპერტს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან.

საგნობრივი ექსპერტების მხრიდან განხორციელდა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი კურიკულუმების შეფასება, რომლის დროსაც დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის რევიზიაში ჩართული იყო დაწყებითი საფეხურის ექსპერტი. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 3.5 მატერიალური ინფრასტრუქტურა	რესურსები და	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები		☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები		☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა		☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა		☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები		☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

		აღწერა
--	--	--------



მოსწავლეთა რაოდენობა: 100	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - შეესაბამება;

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილად შეესაბამება;

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა- მეტწილად შეესაბამება.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
--------------	--	--

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაილობრივი შესაბამისობისა.



ინდ. 3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით (01.05.2024-01.05.2026)), უზრუნველყოს სკოლის ექიმის დასაქმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ განსაზღვრული პირობების მიხედვით.
ინდ.3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით, სკოლა (07.06.2024-07.06.2026 წლამდე) უზრუნველყოფს სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებას და შესაბამისი დასკვნის მოპოვებას.
ინდ.3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით (25.03.2024-25.03.2026 წ-მდე), შენობის სართულებზე შშმ პირთა გადაადგილების მიზნით მოაწყოს ჰანდუსი.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო და საშუალო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია



ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც მიხედვით ერთ წლამდე ვადაში (27.07.2024-27.07.2025წ-მდე) სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვას, რითაც შესაძლებელი იქნება კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა.
ინდიკატორი 2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.	დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც მიხედვით ერთ წლამდე ვადაში (27.07.2024-27.07.2025წ-მდე) სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვას

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდ. 3.2.1.4	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;	სკოლამ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი გაწეროს საკუთარი ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, კერძოდ, დოკუმენტის მიხედვით, დირექტორის მოადგილე არის რიგ საკითხებზე პასუხისმგებელი, ვინაიდან სკოლას არ



		ჰყავს შტატით განსაღვრული აღნიშნული თანამდებობა და არც პირია შესაბამისად დასაქმებული, მნიშვნელოვანია დოკუმენტებში აღწერილი ფუნქცია-მოვალეობების განხორციელება დაეკისროს სხვა პირს.
ინდ.3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	- დაწესებულებამ გაითვალისწინოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნაში გაცემული რეკომენდაციები. - დაწესებულებამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასაქმება
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ბუნებისმეტყველება: სასურველია ყველა კლასის კურიკულუმის სტრუქტურა იყოს ერთნაირი, როგორც ეს აქვს სკოლას მითითებული სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში, სასკოლო სასწავლო გეგმაში. უნდა ჩანდეს სავალდებულო თემები (საგნობრივი სტანდარტის მიხედვით), გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები, ქვეცნებები), საკითხები (რომლებიც თემის ფარგლებში მუშავდება),



		შუალედური მიზნები (კომპლექსური ან კომპლექსური ტიპის, კვლევითი ან პროექტული დავალება) და რესურსები. საზოგადოებრივი მეცნიერებები: 1. მიზანშეწონილია კათედრაზე იყოს შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმების სტანდარტული დიზაინი, სადაც გამოკვეთილად გამოჩნდება: თემა, სამიზნე ცნებები, საკითხები/საკითხთა კლასტერი, შუალედური სასწავლო მიზნების მისაღწევი კომპლექსური დავალებები, რესურსები (ძირითადი და დამატებითი), შეფასების კრიტერიუმები. 2. საგნობრივ კურიკულუმებში ნათლად უნდა ჩანდეს ბმა თემას-საკითხს-კომპლექსურ დავალებას-აქტივობას-შეფასებას შორის, თუ რა მიზნით ასწავლის მასწავლებელი, რა უნდა იყოს საბოლოო შედეგი და როგორ ვაფასებთ მოსწავლეებს; სახელმწიფო ენა: მიზანშეწონილია კურიკულუმებში სრულად აისახოს ყველა აუცილებელი კომპონენტი (სამიზნე ცნება, თემა, საკითხი, დავალების იდეა, კონტექსტ-მაგალითები და რესურსები). უცხო ენები: 1. კურიკულუმის ჩარჩოში ასახული შუალედურ მიზნებში/აქტივობებში იკითხება სამიზნე ცნებებთან მიმართება, თუმცა ზოგ კურიკულუმში არ გვხვდება ცნებების ჩამონათვალი, სასურველია აისახოს შესაბამის საფეხურის ცნებები შესაბამის შედეგების ინდექსებთან ერთად. (მაგ, ინგლისური ენა, II, III, V კლასი,). 2. ასევე, სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოებში აისახოს, თუ რომელი ქვეცნებების გააქტიურებას მოაიზრებს კურიკულუმით დაგეგმილი შუალედური მიზანი. (დაწყებითი საფეხური, ინგლისური/რუსული). 3. სასურველია, შუალედური მიზნები გაიმიჯნოს აქტივობებისგან.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.	ბუნებისმეტყველება: III, IV, V და VI კლასის კურიკულუმში თემები ზუსტად უნდა იყოს თანხვედრაში ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ სავალდებულო თემებთან. ამ კლასებში მასწავლებელს კურიკულუმის თემების სვეტში მოცემული აქვს სავალდებულო თემები სტანდარტიდან ნაწილი სწორად, ნაწილში კი მითითებულია სასკოლო სახელმძღვანელოს თავები. მაგ: III კლასში სტანდარტით განსაზღვრულია ორი სავალდებულო თემა: ჩემი ქვეყნის ბუნება და მზის სისტემა. კურიკულუმში თემების ადგილას მოცემულია თავები სახელმძღვანელოდან. სასურველია III, IV, V და VI კურიკულუმებში ჩანდეს ყველა სავალდებულო თემა, როგორც საგნობრივ სტანდარტშია მოცემული. V და VI კლასში სულ წლის განმავლობაში 105 საათია, თუმცა თემების დასამუშავებლად განკუთვნილი საათების ჯამური რაოდენობა არის 86. სასურველია თავში მითითებული საათების ჯამური რაოდენობა და კონკრეტული თემის დასამუშავებლად გამოყოფილი საათების ჯამი ერთმანეთს ემთხვეოდეს. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია საგანში „მე და საზოგადოება“ მე-3-4 კლ. თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდეს გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, სამიზნე ცნებები – პიროვნება, საზოგადოება, ინსტიტუცია, ზრუნვა, ცვლილება; სავალდებულო თემები და მიღწევის ინდიკატორები მოცემულია საგნობრივ სტანდარტებში.



		უცხო ენები: სასურველია, კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნები მიემართებოდეს საფეხურის ყველა სამიზნე ცნებაზე. მაგალითად, VI კლასის რუსული ენის კურიკულუმის ჩარჩოში სამიზნე ცნება „კულტურათა დიალოგი“, არ მუშავდება.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	ფიზიკური აღზრდა და სპორტი: ფიზიკური აღზრდის 1,2,4,5, კლასის კურიკულუმებში სასურველია დაემატოს თემა: „მოდრავი თამაშები“ იმ სპორტის სახეობის ელემენტებით, რომლის რესურსიც (ინვენტარი) გააჩნია სკოლას. ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სასურველია მოხდეს ფიზიკურ აქტივობაზე ორიენტირებული იმ თემების დამატება, რომელშიც მუშავდება სამივე სამიზნე ცნება.
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია საგანში „მე და საზოგადოება“ მე-3-4კლ. თითოეულ თემაში ერთი კომპლექსური ტიპის დავალება მაინც შესრულდეს, რომლის დასრულების შემდეგ მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს საკუთარი შემოქმედებითი პროდუქტი – პლაკატი, ესე, მაკეტი, ინფოგრაფიკა და ა.შ. სარეკომენდაციო კომპლექსური დავალებები მოცემულია მასწავლებლის წიგნში, და თითოეულ მათგანს აქვს შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც გადის გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე, ეს ჰედაგოგს დაეხმარება მოსწავლეთა შეფასებაში, თუ როგორ შეიმეცნეს მათ კომპლექსური დავალების შესრულებით თემის ფარგლებში არსებული სამიზნე ცნებები. უცხო ენები: სასურველია შუალედური მიზნები გაიმიჯნოს აქტივობებისგან და დაზუსტდეს შემოქმედებითი პროდუქტების ფორმა (VI კლასი, რუსული ენის კურიკულუმის ჩარჩო).
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	მათემატიკა: სასურველია მრავალფეროვანი რესურსების მითითება და დამატება სწავლის შედეგების მისაღწევად. საგნობრივ კურიკულუმით მოცემული, რესურსები მწირ რაოდენობითაა მოცემული, შემოიფარგლება ზოგიერთ შემთხვევაში ერთი კონკრეტული რესურსით, მაგ; ჰირველ და მეორე კლასში რესურსი არ არის მოცემული, მესამე კლასში - ტელესკოპის გაკვეთილია, სადაც ლინჯი არ დევს. არ არის მითითებული ძირითადი რესურსი სახელმძღვანელო.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია მოსწავლის ისგ-ში ყველა თემას ჰქონდეს მითითებული კონკრეტული სამიზნე ცნება;

ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	სახელმწიფო ენა: სასურველია კურიკულუმში სრულად აისახოს ძირითადი სასწავლო რესურსები და მატრიცებში მითითებული დამხმარე სასწავლო რესურსები. ასევე ინტერვის დროს დასახელებული ვალიდირებული დამხმარე სასწავლო რესურსები, რასაც იყენებთ სასწავლო პროცესში. უცხო ენები: სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოებში აისახოს ცალკეულ თემებში გამოსაყენებელი სასწავლო რესურსები, მაგალითად, ძირითადი/ დამხმარე სახელმძღვანელოდან გვერდები, ინტერნეტ მასალების ბმულები და ა.შ.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	საზოგადოებრივი: სასურველია კათედრის სხდომის და ხარისხის ჯგუფის ოქმებში უფრო კონკრეტულად იყოს ასახული ინფორმაცია საგნობრივი თუ სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგის პროცესის შესახებ, სასურველია აღნიშნული ოქმები მოიცავდეს მონიტორინგის შედეგების ანალიზსა და სამომავლო გეგმების დასახვას.
ინდიკატორი 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	მათემატიკა: სასურველია შემუშავებული იყოს ისეთი შეფასების რუბრიკები რომლებიც, მიემართება მათემატიკის გრძელვადიან სამიზნე ცნებებს, დაცული იყოს შეფასების სანდოობისათვის უცილებელი ინდიკატორები. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები, სასურველია ეს რუბრიკები ახლდეს კონკრეტულ აქტივობას, მიემართებოდეს კონკრეტული სამიზნე ცნებისკენ, აფასებდეს შუალედური მიზნის კრიტერიუმის დამუშავების ხარისხს; ტექნოლოგიები: სასურველია განმსაზღვრელ შეფასებაში მკაფიოდ ჩანდეს საკითხი, თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით, შეფასების კრიტერიუმები, სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკას ახლდეს გრაფა კომენტარებისთვის, რომლის საშუალებითაც მასწავლებელი ახსნის, თუ რატომ შეაფასა მოსწავლე ამა თუ იმ ქულით.
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	საზოგადოებრივი: სასურველია უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენება (ელექტრონული რესურსები, აპლიკაციები, წიგნები, მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსები – სქემები, დიაგრამები, გრაფიკები, დიორამები, მაკეტები და ა.შ.), და მათი დოკუმენტურად დადასტურება (მაგ.: კათედრის სხდომის ოქმები);
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მათემატიკა: სასურველია საგნობრივ კურიკულუმში, მაგ; მე-8 კლასში გრძელვადიანი სამიზნე ცნებებზე სათანადო ყურადღების გამახვილება. ასევე მე-9 კლასში კომპლექსური ტიპის დავალების დამატება. საზოგადოებრივი მეცნიერებები: 1. მიზანშეწონილია კათედრაზე იყოს შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმების სტანდარტული დიზაინი/ფორმა, სადაც გამოკვეთილად უნდა ჩანდეს: თემა, სამიზნე ცნებები, საკითხები/საკითხთა კლასტერი, შუალედური სასწავლო მიზნების მისაღწევი კომპლექსური დავალებები, რესურსები (ძირითადი და დამატებითი), შეფასების კრიტერიუმები.



		2. მიზანშეწონილია საგნობრივ კურიკულუმებში ნათლად ჩანდეს ბმა თემას-საკითხს-კომპლექსურ დავალებას-აქტივობას-შეფასებას შორის, თუ რა მიზნით ასწავლის მასწავლებელი, რა უნდა იყოს საბოლოო შედეგი და როგორ ვაფასებთ მოსწავლეებს; სახელმწიფო ენა: სასურველია კურიკულუმებში სრულად აისახოს ყველა აუცილებელი კომპონენტი (სამიზნე ცნება, თემა, საკითხი, დავალების იდეა, კონტექსტ-მაგალითები და რესურსები), რაც წარმოდგენილია დანართში. უცხო ენები: 1. კურიკულუმის ჩარჩოში ასახული შუალედურ მიზნებში /აქტივობებში იკითხება სამიზნე ცნებებთან მიმართება, თუმცა ზოგ კურიკულუმში არ გვხვდება ცნებების ჩამონათვალი, სასურველია აისახოს შესაბამის საფეხურის ცნებები შესაბამის შედეგების ინდექსებთან ერთად. (მაგ, ინგლისური ენა, IX კლასი-საშუალო საფეხურის შედეგებია ასახული; VIII კლასში დაწყებითის შედეგები). 2. ასევე, სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოებში აისახოს, თუ რომელი ქვეცნებების გააქტიურებას მოაიზრებს კურიკულუმით დაგეგმილი შუალედური მიზანი. (საბაზო საფეხური, ინგლისური/რუსული). 3. სასურველია, შუალედური მიზნები გაიმეოროს აქტივობებისგან.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საბუნებისმეტყველო საგნებში (ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში) კვირაში 2 საათია გათვალისწინებული. შესაბამისად ყველა ამ საგანში წლის განმავლობაში საათების ჯამური რაოდენობა ერთნაირია (დაახლოებით 70 სთ). ზოგიერთ საგანში გასასწორებელია ჩანაწერი. მაგ: ქიმია 9 კლ. ფიზიკა 8 და 9 კლ. ასევე მცირედი ცდომილებაა ბიოლოგიის კურიკულუმში.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	უცხო ენები: სასურველია, ყველა კურიკულუმის ჩარჩოში აისახოს თითოეული თემის/საკითხის საათობრივი დატვირთვა (ინგლისური, რუსული).
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საბუნებისმეტყველო: სასურველია საბაზო საფეხურის ზოგიერთი საგნის (მაგ, ფიზიკის) კურიკულუმებს თან ახლდეს კომპლექსური ან კომპლექსური ტიპის დავალების მატრიცა, სადაც გაწერილი იქნება მიზნის მისაღწევი აქტივობები. სასურველია ქიმიასა და ბიოლოგიაშიც იყოს წარმოდგენილი აქტივობები (თემატური მატრიცა ან სხვა რესურსი - მაგ კვლევის ოქმი, ინსტრუქცია, სამუშაო ფურცლები და სხვა). საზოგადოებრივი: მიზანშეწონილია თითოეულ აქტივობას ჰქონდეს მითითებული, თუ რომელ სამიზნე ცნებაზე მიემართება და რა ფორმით ხდება ამ აქტივობაში მონაწილე მოსწავლეების შეფასება;
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	სახელმწიფო ენა: სასურველია კურიკულუმში სრულად აისახოს ძირითადი სასწავლო რესურსები და მატრიცებში მითითებული დამხმარე სასწავლო რესურსები. ასევე აისახოს ინტერვის დროს დასახელებული ვალიდირებული დამხმარე სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ სასწავლო პროცესში.



		უცხო ენები: სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოებში აისახოს ცალკეულ თემებში გამოსაყენებელი სასწავლო რესურსები, მაგალითად, ძირითადი/ დამხმარე სახელმძღვანელოდან გვერდები, ინტერნეტ მასალების ბმულები და ა.შ.
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენება შესაძლებელი (ელექტრონული რესურსები, აპლიკაციები, წიგნები, მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსები – სქემები, დიაგრამები, გრაფიკები, დიორამები, მაკეტები და ა.შ.), და აუცილებელია მათი დოკუმენტურად დადასტურება (მაგ.: კათედრის სხდომის ოქმები);
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სახელმწიფო ენა: სასურველია შეიქმნას შეფასების რუბრიკები, რომელიც კონკრეტულ დავალებას მიემართება და კორელაციაშია გრძელვადიან მიზნებთან.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1.	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.	ბუნებისმეტყველება: სასურველია ზოგიერთი საგნის კურიკულუმში გასწორდეს თემების სტანდარტების მიხედვით. მაგ. ფიზიკის მე-10 კლასში თემა არის ელექტროსტატიკა, ხოლო კურიკულუმში თემის გრაფაში წერია - ელექტრული ველი (ეს არის კერძო ქვეცნება).
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ბუნებისმეტყველება: სასურველია სამივე საგნის კურიკულუმის ცხრილში მოცემული იყოს რა დავალებები (კომპლექსური ან კომპლექსური ტიპის, კვლევითი ან პროექტული) ხორციელდება თემის ფარგლებში, როგორც ეს არის ასახული ფიზიკის შემთხვევაში.
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საბუნებისმეტყველო საგნებში კვირაში 2 საათია გათვალისწინებული, შესაბამისად, ყველა ამ საგანში წლის განმავლობაში საათების ჯამური რაოდენობა ერთნაირია (დაახლოებით 70 საათი). ზოგიერთ საგანში გასასწორებელია ჩანაწერი, მაგ. ქიმია 11 კლასი.
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: კურიკულუმში ჩამოთვლილია აქტივობების ნუსხა, მაგრამ არ ჩანს მათი მიზნობრიობა სასწავლო მიზნებთან მიმართებით; მნიშვნელოვანი არაა აქტივობების მრავალფეროვნება, მნიშვნელოვანია, თუ რისთვის იყენებს პედაგოგი მათ საგაკვეთილო პროცესში. მაგ.: აქტივობა – ჩადრმავებული კითხვის გამოყენება სხვადასხვა წყაროების გაცნობის დროს, როდესაც მასწავლებლის მიზანია მოსწავლეებისთვის უცნობი მასალის სადრამისეული დამუშავება, სამიზნე ცნების საფუძვლიანი შემეცნება და მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარება.



		აქტივობა – ჩადრმავებული კითხვის დროს შესაძლებელია პარალელურად მასწავლებელმა გამოიყენოს სოკრატული მეთოდიც , ამ მეთოდიკების გამოყენებით სწავლა-სწავლების პროცესი უფრო სახალისო და შემეცნებითი ხდება.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი სსმ მოსწავლის ი.ს.გ-ს მოქალაქეობაში გადამუშავება და ინფორმაციის სრულად შეტანა. გასათვალისწინებელია, რომ საგან მოქალაქეობაში არის შემდეგი გრძელვადიანი საფეხურობრივი სამიზნე ცნებები: საზოგადოება, დემოკრატია, სამოქალაქო მონაწილეობა და მდგრადი განვითარება. აღნიშნულ ი.ს.გ. ცნებების ველში წარმოდგენილი ინფორმაცია არ შეესაბამება საგნობრივ სტანდარტს.
ინდიკატორი 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ბუნებისმეტყველება: სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არის ზოგადი სკოლას წარმოდგენილი აქვს ფიზიკაში და ქიმიაში კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა. სასურველია სკოლამ წარმოადგინოს საგნობრივი სტანდარტის თემის ინდიკატორებზე დაყრდნობით შექმნილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სახელმწიფო ენა: სასურველია შეიქმნას შეფასების განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები, რომელიც კონკრეტულ დავალებას მიემართება და კორელაციაშია გრძელვადიან მიზნებთან.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	საზოგადოებრივი: სასწავლო პროცესზე დაკვირვება ხდება სკოლაში არსებული ხარისხის ჯგუფის წევრების მიერ. სკოლას აქვს წარმოდგენილი ერთი ოქმი, სადაც არ ჩანს ნათლად თუ მოახდინეს დაკვირვება საზოგადოებრივი კათედრის რომელიმე საგნობრივი პედაგოგის გაკვეთილზე. შესაბამისად, კათედრის სხდომის და ხარისხის ჯგუფის ოქმებში უფრო კონკრეტულად უნდა იყოს ასახული ინფორმაცია საგნობრივი, თუ სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგის პროცესის შესახებ, თუ რატომ ატარებენ, რა ინსტრუმენტებით ხდება გაზომვა კურიკულუმის განხორციელებისა სკოლაში, მონიტორინგის შედეგების ანალიზი და სამომავლო გეგმების დასახვას უნდა მოიცავდეს აღნიშნული ოქმები.
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენება შესაძლებელი (ელექტრონული რესურსები, აპლიკაციები, წიგნები, მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსები – სქემები, დიაგრამები, გრაფიკები, დიორამები, მაკეტები და ა.შ.), და აუცილებელია მათი დოკუმენტურად დადასტურება (მაგ.: კათედრის სხდომის ოქმები); უცხო ენები: სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოებში აისახოს ცალკეულ თემებში გამოსაყენებელი სასწავლო რესურსები, მაგალითად, ძირითადი/ დამხმარე სახელმძღვანელოდან გვერდები, ინტერნეტ მასალების ბმულები და ა.შ. (ინგლისური X_XI კლასები, რუსული X კლასი).

ინდიკატორი 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია სკოლას მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები თან ახლდეს კონკრეტულ აქტივობას, უნდა მიემართებოდეს კონკრეტული სამიზნე ცნებისკენ, უნდა აფასებდეს შუალედური მიზნის კრიტერიუმის დამუშავების ხარისხს; შეფასებები და რუბრიკები უნდა ახლდეს კომპლექსურ დავალებებზე (მაგ.: გოლერძის ნამარხი ტყე და მეტალურგიას (გეოგრაფია, IX კლ.) არ ახლავს მოსწავლის შეფასების სქემა, თუ როგორ აფასებს პედაგოგი – განმავითარებელი, თუ განმსაზღვრელი შეფასებით; რომელ სამიზნე ცნებაზე გადის მოსწავლე ამ დავალების შესრულებით და ა.შ.).
ინდიკატორი 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „კუჭატნის სასკოლო-სასწავლო გეგმა 2023-2024“ გვ.25-28 აღწერილია ზოგადად, თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს მოსწავლეთა შეფასების სისტემა, მაგრამ აღნიშნული დოკუმენტები არ არის წარმოდგენილი, არის მხოლოდ ზოგადი შეფასების რუბრიკები. შესაბამისად, სამომავლოდ პედაგოგებმა სასკოლო-სასწავლო გეგმაზე, საგნობრივ სტანდარტებზე და საგნობრივ გზამკვლევებზე დაყრდნობით შესაძლებელია შეიმუშაონ მოსწავლეთა შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციისა წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, იმ ინდიკატორებთან მიმართებით რაც დახარვეზდა. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, ვადები და რესურსები რელევანტურია და იზიარებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პოზიციას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციალ-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს; სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ კუჭატნის საჯარო სკოლის (შემდგომში „სკოლა“, „დაწესებულება“) მისია: „მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.“

სკოლის ხედვა: „იყოს მყარი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა. თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად, ზრუნავდეს თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე. წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.“

სკოლის მისია გამომდინარეობს გრძელვადიანი მიზნებიდან, რომ, ერთი მხრივ, ხელი შეუწყოს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას, ხარისხიანი განათლების მიწოდებას რათა სრულად მოახდინოს საკუთარი კომპეტენსიების რეალიზება. სკოლის ხედვა წარმოადგენს სკოლის მისიის განხორციელების სასურველ შედეგს, სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს რითაც **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციალ-კულტურულ სივრცეს; სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა

განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს, სკოლის ფილოსოფიაში ხაზგასმულია სასკოლო საზოგადოების, კერძოდ პედაგოგების ჩართულობა და მათი როლი მოსწავლის მიღწევებსა და შედეგებზე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია**.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; სკოლის მიერ წარმოდგენილია „სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ კუჭატნის საჯარო სკოლის სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის, საჭირო დონის ძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ სკოლის დირექტორის N 2-41 (11.09.23) ბრძანება, ასევე, სკოლის ფილოსოფიის შემუშავების ჯგუფის შეხვედრების ოქმები, რომელსაც დაევალია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება. საზოგადოების უფრო ფართო წრისათვის გასაცნობად გამოქვეყნდა სკოლის სოციალურ ქსელში პროექტის სახით. ჩატარდა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა. უკუკავშირები გათვალისწინებულ იქნა საბოლოო დოკუმენტში. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია**.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები გაცნობილი იყო სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, სამუშაო შეხვედრებზე, მშობელთა კრებებზე, სკოლის დირექტორის განმარტებით, მოხდა ზემოპირი უკუკავშირის გაცემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან და საბოლოოდ სკოლის ფილოსოფიის პროექტის შემუშავება. აღნიშნულის მტკიცებულებად სკოლამ წარმომადგენა მშობელთა კრების ოქმები. ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია**.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, კერძოდ, სკოლის ვებ-გვერდზე და სკოლის საინფორმაციო დაფაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია**.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია : სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ კუჭატნის საჯარო სკოლა. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. ინდიკატორი **შესაბამისობაშია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის დირექტორის ბრძანება N2-41(11.09.23)

სკოლის ფილოსოფიაზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრების ოქმები;

სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ფორმები;

სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;

ვებ- გვერდი.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს; დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის სამეურვეო საბჭოზე დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა (ოქმი N6; 18.09.23), და სკოლის დირექტორის მიერ

დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია (ბრძ. N 2-40;11.09.23) ,დოკუმენტის მიხედვით სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება ოთხ ძირითად პრინციპს:

თანამონაწილეობა,სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება.

მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს და პორცესში მათ ჩართულობას, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას, კერძოდ,სკოლამ წარმოადგინა 2023-2030 წ. სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც არის შვიდწლიანი (დამტკიცებულია 2023 წლის 18 სექტემბრის სამეურვეო საბჭოსN6 სხდომაზე). ის შეიცავს სკოლის მისიასთან თავსებად მიზნებს და გამომდინარეობს სტრატეგიული მიზნებიდან. კერძოდ:

სკოლის სტრატეგიული მიზნები/მიმართულებებია:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციული განვითარება.

გეგმაში ასახულია მიზნების მისაღწევი ამოცანები, გეგმის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი პუნქტებით: ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, მისია, ხედვა, ღირებულებები, SWOT ანალიზი , მასზე დაფუძნებული იდენტიფიცირებული სტრატეგიული პრიორიტეტები და მიზნები, მათი აღწერა და თითოეული მიზნისთვის შესაბამისი ამოცანების განსაზღვრა, რაც ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ და ეფექტიან მუშაობას, დადგენილ ვადებში სტრატეგიული მიზნების მიღწევას და საქმიანობის შეფასებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სკოლის ერთწლიანი გეგმა (დამტკიცებული 2023 წლის 18სექტემბრის სამეურვეო საბჭოს N6 ოქმით) ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან, მასში გათვალისწინებულია სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი სტრატეგიული მიმართულებები. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია გასული სასწავლო წლის შეჯამების და თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე, დოკუმენტში ასახულია შემდეგი სტრატეგიული მიზნები: სასწავლო პროცესის

ხარისხის ამღლება, ადამიანური რესურსების განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება და სხვ. სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია სტრატეგიული გეგმის მიზნებთან და ამოცანებთან. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან (2023-2024 წწ) სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, წარმოდგენილია შესრულების ინდიკატორები. სტრატეგიული მიზნის შესაბამისად გაწერილია აქტივობების რეალისტური განხორციელების პერიოდი, შეფასების ინდიკატორები, რაც თვალსაჩინოს ხდის რამდენად შესრულდა კონკრეტული ამოცანა, ასევე გაწერილია შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, თუმცა ად. რესურსების ჩამონათვალი საჭიროებს მეტ კონტრეტიკას, ასევე სკოლას მიეცა რჩევა შესრულების გაზომვად ინდიკატორებად განსაზღვროს არა მტკიცებულებების ფორმულირებით, არამედ ამოცანის, აქტივობის შესრულების ინდიკატორად. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

2023-2030 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;

2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რომლების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაშია აღწერილი, ანგარიშვალდებულებისა და მონაწილეობის პრინციპითაა შექმნილი. მონიტორინგის პროცესს, რომელიც განსაზღვრავს დაგეგმილი აქტივობების შესრულება/შეუსრულებლობას, მოსდევს შეფასების პროცესი, რომელიც პროცესს ხარისხობრივად აკონტროლებს. სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდ იკითხება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, სკოლას დადგენილი აქვს მეთოდოლოგიით სქემა (ცხრილი) რითაც მოახდენს მონიტორინგის შედეგების ანალიზს. აღნიშნულზე დაყრდნობით სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; მონიტორინგის პროცესს წარმართავს სკოლის დირექცია, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას სტრუქტურულ ერთეულებთან და დაინტერესებულ მხარეებთან. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.**

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს ანგარიშების საჯაროობის უზრუნველყოფას სკოლის ვებ-გვერდზე. ვინაიდან სკოლა პირველად ავტორიზაციას გადის, ინდიკატორი ვერ შეფასდება.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულება ფასდება და გამოიყენება სკოლის განვითარებისთვის. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს ირკვევა, რომ რეგულარულად იმართება შეხვედრები, ტარდება გამოკითხვები, რომელზეც განიხილება ზოგადი დადებითი და უარყოფითი ტენდენციები სკოლის განვითარებასთან დაკავშირებით, იკვეთება საჭიროებები, პრობლემები და ისახება გადაჭრის გზები. სასწავლო წლის ბოლოს, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე კათედრების თავმჯდომარეების, სკოლის დირექციის ანგარიშის საფუძველზე მოხდება სკოლის მუშაობის შედეგების ანალიზის გათვალისწინება. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგებს სკოლა გაანალიზებს, განსაზღვრავს წარმატებულ პრაქტიკას და სუსტ მხარეებს. აღნიშნულ ანალიზს გამოიყენებს მომავალი საქმიანობების დასაგეგმად, რათა მოხდეს თავსებადობა სტრატეგიული განვითარების გეგმასთან საბოლოო მიზნის მისაღწევად ან ახალი რეალობის გათვალისწინებით მოახდინონ მასში ცვლილებების შეტანა. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი **სტანდარტთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

2023-2030 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;

2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული; დაწესებულებაში დადგენილია სკოლის სტრუქტურა. ამასთან სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია საშტატო ნუსხა, რომლის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი, ბუღალტერი, საქმიანობების მართვა, ბიბლიოთეკარი, ექიმი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი, სპეციალური მასწავლებელი-2, სსსმ ასისტენტი-1. თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულები, რომლის მიხედვით, დადგენილია მათი ფუნქცია-მოვალეობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლის დირექტორის ბრძანებით (N2-12; 29.03.2024) დამტკიცებულია დოკუმენტი „ დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომლითაც თანამშრომლების საქმიანობის აღმწერი ფუნქციებია დადგენილი, დოკუმენტი განსაზღვრავს

თითოეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, ინტერვიუს დროს ნათლად გამოიკვეთა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და ერთეულ თანამშრომლებს შორის როგორც ფუნქციები, ისე პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ მათ შორის დამყარებულია ჯანსაღი, შედეგზე ორიენტირებული ურთიერთობა, რაც დადებითად აისახება სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრუქტურა;

საშტატო განრიგი;

გაფორმებული ხელშეკრულებები;

დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები ბრძ. N2-12

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით (N6; 18.09.23) დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომლის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის ამოცანებია: სკოლის ადამიანური რესურსების მართვა. დასაქმებულთა მუდმივი განვითარება, კვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება/მომზადების

მიზნით, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა, სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლის ადაპტაცია. წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და სხვ. დოკუმენტი ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის N67/6 ბრძანების, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N241 დადგენილებისა და სხვა სამართლებრივი აქტებს შესაბამისად **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

როგორც დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები. კოლეგებს შორის ურთიერთობა თანამშრომლობითია - საუკეთესო გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება მიღებული ფორმით. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს საჭირო, რეგულაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ. სკოლაში შემუშავებულია კონკურსის გამოცხადების წესი, რომლის საფუძველზე პერსონალი შეირჩევა გამჭვირვალედ. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში სკოლა შეძლებს რისკების მართვას და ფუნქციების სხვაზე დელეგირებას, მაგალითის სახით სკოლამ მოიყვანა მასწავლებლის ჩანაცვლების პრაქტიკა სხვა პედაგოგით. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით; დაწესებულებაში სკოლის მასწავლებელთა შერჩევა და დასაქმება ხდება ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპის დაცვით, სკოლაში მასწავლებლის დასაქმება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/6 ბრძანების შესაბამისად მიმდინარეობს, სკოლაში დაცულია მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსია გამოცხადებულია მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე, წარმოდგენილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა მასწავლებელთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც შესაბამისობაში იყო კანონმდებლობასთან. სკოლაში დასაქმებული არის მოწვეული მასწავლებელი რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში დაცულია ყველა თანამშრომლის ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, რომელიც კანონმდებლობითაა დადგენილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; სკოლაში დასაქმებულია 30 თანამშრომელი, რომელთაგან 22 მასწავლებელია, მოწვეული-1, უსტატუსო-1. ვიზიტის

პერიოდში სკოლას სპორტის მასწავლებელთან გაფორმებული ჰქონდა შრომითი ხელშეკრულება, როგორც მოწვეულ მასწავლებელთან, თუმცა მისი საათობრივი დატვირთვა აღემატებოდა დადგენილ 9 სთ.ვიზიტის პერიოდში სკოლამ აღნიშნული ხარჯი გამოასწორა და საათები გადაუნაწილა სხვა პედაგოგს.

სკოლის ექიმთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/6/01-23/, 21.03.2022წ განსაზღვრულ ექიმის საკვალიფიკაციო პირობებს, რომლის მიხედვით „სკოლის ექიმად მუშაობისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, საქართველოს ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული, საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: ა) „პედიატრია“; ბ) „საოჯახო მედიცინა“; გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“. აღსანიშნავია, რომ სკოლა პერიოდულად აცხადებს ვაკანსიას ექიმის პოზიციაზე, თუმცა სკოლის განმარტებით უმედეგოდ ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული, სკოლამ თვითმფასების დოკუმენტაციასთან ცენტრში გადმოაგზავნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია ვადები (15.09.2024-მდე) და აქტივობები, რომლითაც უზრუნველყოფს კვალიფიციური ექიმის დასაქმებას. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება. აღნიშნული დადასტურდა საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს. სკოლის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს სკოლის პერსონალს, ხოლო სკოლის სტრუქტურული ერთეულების: მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო თანამშრომლობით პრინციპს, დამოუკიდებლად მოქმედებენ იღებენ გადაწყვეტილებებს, მართვის მონაწილეობითი სტილი და ორგანიზაციული კულტურა მიზნად ისახავს „ჩვენ“ განცდისა და ერთგულების ჩამოყალიბებას სასკოლო საზოგადოებაში და ინიციატივების განვითარებას გუნდში. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის შენაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მაღლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

სკოლის შინაგანაწესი;

საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსისი გამოცხადების შესახებ ბრძანებები;

საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმი;

თანამშრომლეთა პირადი საქმეები;

შრომითი ხელშეკრულებები;

school ბაზის მონაცემები;

ინტერვიუს შედეგები;

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1.სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები; დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მე-13 მუხლი განსაზღვრავს სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის/მონიტორინგის პროცესს. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს.შესრულებული სამუშაოს შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი ფორმით:შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ; თვითშეფასება; შესაბამისი კითხვარების მეშვეობით სასკოლო საზოგადოების მიერ შეფასება;კრიტიკული შემთხვევების შეფასება;გარკვეული სამუშაო ჯგუფის/კომისიის მიერ შეფასება;სამუშაო პროცესზე/საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება.მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ასევე, მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკისა და დირექტორთან ინტერვიუს შედეგად, შეფასების

შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა დაგეგმავს მიზნობრივი განვითარების პროცესს; სკოლაში შემუშავებულია შიდა მექანიზმი, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების სახით, რომელსაც ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ხელმძღვანელობს, მასწავლებლები გამოვლენილი საჭიროების მიხედვით ესწრებიან ტრენინგებს. ამასთან, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს პერსონალის განვითარების ხელშეწყობ აქტივობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას; სკოლა შეძლებისდაგვარად ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, რაც, ძირითადად, გამოიხატება შესაბამის ტრენინგებზე მათ დარეგისტრირებაში. ასევე სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება და „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის ფუნქციონირება, აღნიშნული დასტურდება კათედრის სხდომის ოქმებით და ინტერვიუს შედეგებით. სკოლამ წარმოადგინა სკოლის ბუღალტრის გადამზადების სხვადასხვა სერთიფიკატი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-7-მე-9 მუხლი არეგულირებს თანამშრომლის სოციალიზაცია - ადაპტაციის პირობებს, რომლის მიხედვით: ახალდანიშნული თანამშრომლის სოციალიზაცია და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექციის წარმომადგენელი. მოცემული პროცედურა მოიცავს ახალმიღებული თანამშრომლების სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის ეფექტურად განხორციელების პროცესის აღწერას, თანმიმდევრულ ნაბიჯებსა და საუკეთესო პრაქტიკებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სკოლამ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი გაწეროს საკუთარი ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, კერძოდ, დოკუმენტის მიხედვით, დირექტორის მოადგილე არის რიგ საკითხებზე პასუხისმგებელი, ვინაიდან სკოლას არ ჰყავს შტატით განსაზღვრული აღნიშნული თანამდებობა და არც პირია შესაბამისად დასაქმებული, მნიშვნელოვანია დოკუმენტებში აღწერილი ფუნქცია-მოვალეობების განხორციელება დაეკისროს სხვა პირს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. დაწესებულების წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მასწავლებლების ინიციატივებს და ამ მიზნით კათედრების მომართვის საფუძველზე უზრუნველყოფს მათ ყველა ტიპის საგანმანათლებლო რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

სკოლის შინაგანაწესი;
ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის პროცედურა;
ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს; სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს, კერძოდ სკოლის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში ნათლად იკითხება ციკლურობა, რომელიც ითვალისწინებს დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედვის ეტაპებს. პროცესული მიდგომა იკვეთება

სასკოლო სასწავლო გეგმის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, ხარისხის ჯგუფების საქმიანობის დებულებაში და სხვ. აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია ითქვას რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლის და ინტერვიუს შედეგებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; სკოლის ადმინისტრაცია წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად ღერძს, რომელიც აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები). საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია ნაწილობრივ სკოლის შინაგანაწესში და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. ძირითადი პროცესი - საგანმანათლებლო პროცესი - ნაწილობრივ აღწერილია სკოლის შინაგანაწესში და სსგ. -ში. მაგალითად, დისციპლინური წარმოება ჩანს - შინაგანაწესში, პროცესები (საკადრო პოლიტიკა, საქმისწარმოების პროცესები და სხვა) აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში, როგორცაა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ხელშეკრულებები და შინაგანაწესი აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას და შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). საქმისწარმოების პროცესები ჩანს სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა; სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომლების, მოსწავლეების /მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების საჩივრების განხილვის წესი. სკოლაში შემოსულ განცხადებაზე/საჩივარზე ადმინისტრაცია რეაგირებას ახდენს საქართველოს კანონმდებლობის და სკოლის განცხადებისა და საჩივრის წესის შესაბამისად. ამ წესით რეგულირდება განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, ვადები და გადაწყვეტილებები. განცხადების/საჩივრის განხილვისას სკოლა ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონს. ამავე წესით რეგულირდება ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრება, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლის ყველა პერსონალის/მშობლის კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით შემუშავებულია :

სკოლას აქვს შინაგანაწესი;

სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი;
სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;
თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი;
სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა;
აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;
სასკოლო სასწავლო გეგმა;
დისციპლინური კომიტეტის ოქმები;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები; სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას სკოლის მართვის ორგანოებში, რომლის მიზანია სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა და დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება. სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და უკუკავშირის მიღების მიზნით იყენებს სხვადასხვა კითხვარს, მათ შორის სოციალური ქსელით დაფიქსირებულ მოსაზრებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. ყველა მასწავლებელი არის ჩართული მართვის კოლეგიალურ ორგანოში (პედაგოგიური საბჭო), სადაც გადაწყვეტილებების მიღებაში ყველა თანაბრად იღებს მონაწილეობას, გამოხატავს საკუთარ აზრს და იზიარებს სხვებისას ხოლო გადაწყვეტილებები მიიღება გააზრებულად და ანალიზის საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულ პირებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად. მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი. დისციპლინური კომიტეტი მოსწავლეებით, მშობლებით და პედაგოგებით არის დაკომპლექტებული, რაც თავის

მხრივ ხელშემწყობი გარემოა სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვისთვის. სკოლაში აქტიურად მუშაობს სამეურვეო საბჭო. ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულებში თანამშრომლობა ხელს უწყობს სკოლის ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრუქტურული ერთეულების დებულებებით;

ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში); სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია გადამზადებული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ამასთან სკოლას ჰყავს დარაჯები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შონების და დასაქმებულ პირთა უსაფრთხოებას, სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობა. სკოლის მიერ წარმოდგენილია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ასევე სკოლამ წარმოადგინა კორესპონდენცია სსიპ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან, რომლითაც ითხოვს შესაბამის დაფინანსების გამოყოფას საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ მოთხოვნების დასაკმაყოფილებად. ვიზიტის ფარგლებში სკოლამ განმარტა რომ დაფინანსების მოლოდინის რეჟიმშია. სკოლამ წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახ. ეროვნული ექსპერტიზის მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. **რჩევა:** დაწესებულებამ გაითვალისწინოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნაში გაცემული რეკომენდაციები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან სკოლას არ წარმოუდგენია შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული, **თუმცა დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ცენტრში გადმოაგზავნა წერილობითი კორესპონდენცია (სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებად ხარჯთაღრიცხვა და ინფრასტრუქტურის სააგენტოში გაგზავნილი წერილი შესაბამისი თანხმების გამოყოფაზე) და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით გაწერილია ვადები და აქტივობები (07.06.2026წ. მდე) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის, აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას; სკოლაში პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელშიც აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი ინვენტარით: სამედიცინო ტახტი, სასწორი, სიმაღლის საზომი, საკაცე, მაცივარი, კარადები, შირმა, რომლებშიც განთავსებულია ყველა ის მედიკამენტი, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები, რომელთა გამოყენება დასაშვებია სკოლის მოსწავლეების მიმართ. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; სკოლამ წარმოადგინა უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ ბრძანება, საზოგადოებრივ წესრიგს ასევე უზრუნველყოფენ სკოლის დარაჯები, მორიგე პედაგოგები. სკოლის შესასვლელში შენობაში უცხო პირთა გადაადგილებას და შესაბამის რეესტრს აწარმოებს დარაჯი. შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, წარმოდგენილი დოკუმენტაციით მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება კლასის ხელმძღვანელების მიერ კლასის საათზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; დაწესებულებაში ფსიქო-ემოციური უსაფრთხო გარემოს ფორმირების მიზით შემუშავებულია და დამტკიცებულია ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია (ბრძ. N2-18;19.09.2016), განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ევალება ძალადობის შემთხვევების რეფერირება, სკოლის ხელმძღვანელის განმარტებით, მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური მდგომარეობის მართვისთვის მხარდაჭერას უწევენ საპეციალური მასწავლებლები, ასევე შესაძლებლობა ეძლევათ მოხდეს მოსწავლის გადამისამართება მანდატურის სამსახურთან არსებულ ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრში. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; დაწესებულებაში ვიზიტის დროს ვიზუალური დათვალიერებით სკოლა მოწესრიგებულია, სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელია შრომითი ხელმძღვანელებით დასაქმებული 2 დამლაგებელი. დირექტორის განმარტებით, სკოლის დამლაგებლები იცავენ ყოველდღიურად სისუფთავეს სკოლის მთელ ტერიტორიაზე. სკოლის ეზოში განთავსებულია ნარჩენების ურნები, ასევე მოსწავლეებმა თავად დაამზადეს და სკოლის ფოიეში განათავსეს ქაღალდის შესაგროვებელი სპეციალური ყუთი. სკოლის დასუფთავებისათვის სკოლის განმარტებით, ეწყობა სანიტარული დღეები, სადაც მოსწავლეებიც აქტიურად არიან ჩართულები. სკოლა თანამშრომლობს სოციალურ სამსახურთან, პროგრამის ფარგლებში სკოლას ემსახურება 2 მეუზოვე, დამატებით 2 დამლაგებელი და 1 დამხმარე მუშა. ნარჩენების გატანაზე პასუხისმგებელი პირი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის მიმდებარე ტერიტორიის სისუფთავეს, ათავისუფლებენ ეზოს ბალახებისა და ნარჩენებისაგან ქვეწარმავლების გავრცელების პრევენციის მიზნით. სკოლის სველი წერტილები მოწესრიგებულია

და აღჭურვილია ყველა შესაბამისი ნივთით, რომელთა მომარაგებაზეც ზრუნავს სკოლის დირექცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას; სკოლამ წარმოდგინა დირექტორის 2021 წლის 16 თებერვლის N 2-05 ბრძანებით დამტკიცებული „ პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები“, სადაც განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები და პრინციპები , მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, განსაზღვრულია სკოლის რომელ თანამშრომელს აქვს წვდომა კონკრეტულ მონაცემზე და სხვ. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში სკოლის ვიზუალური დათვალიერების დროს გამოვლინდა, რომ სკოლის შიდა პერიმეტრის ვიდესამეთვალყურეო სისტემის მონიტორინგს და ადმინისტრირებას ახდენს სკოლის საქმისმწარმოებელი, სკოლამ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე განაზღვრა ვიდეო სამეთვალყურეო სისტემაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნულის ამასთან, სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით და ვიზუალური დათვალიერებით სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომი არ არის, ხოლო საარქივო მასალები ინახება ცალკე გამოყოფილ სივრცეში. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს ინტერნეტს, რომელზეც დაყენებულია პაროლი, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი ითვალისწინებს საკითხებს, რომლის მიხედვით სკოლა შეძლებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. ვინაიდან სკოლა გადის **პირველად ავტორიზაციას ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმით;

დამლაგებლებთან გაფორმული ხელშეკრულებით;

დარაჯთან გაფორმებული ხელშეკრულებით;

ვიზუალური დათვალიერებით;

შენობის მდგრადობის შეფასების დოკუმენტით;

ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოცო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სკოლის განახლებული საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, დაწესებულების მისამართია: ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი კუჭატანი, მე-4 ს/კ 57.05.52.000.074

დაზუსტებული ფართობი : 9834 კვ. მ

შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: N1-1446,9 კვ.მ N2 -12.3 კვ N3 - 5.1 კვ.მ

პირველ სართულზე - საკლასო ოთახები, სპორტული დარბაზი, სველი წერტილები, მუსიკის კაბინეტი, ექიმის კაბინეტი, განთავსებული.

მეორე სართულზე-საკლასო ოთახები ,დირექციის კაბინეტი,სამასწავლებლო,კომპიუტერული კლასი, რესურსოთახი.

ვიზიტის ფარგლებში სკოლაში ირიცხებოდა 60, მათ შორის 6 სსსმ მოსწავლე, სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს დადგენილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობას 100 მოსწავლეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი, ეზო) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. ასევე, სკოლაში არსებობს სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული აქტივობებისთვის (დარბაზი, ხელოვნების ოთახი). სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის განრიგი. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, ასევეა ექიმის კაბინეტი. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით; სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ასევე მოქმედებს ბიბლიოთეკის დებულება. დაწესებულებაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი, სკოლაში დაცულია საბიბლიოთეკო წესით რეგისტრირებული სახელმძღვანელოები, მხატვრული და პროფესიული ლიტერატურა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს; სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, ვინაიდან ეტლით მოსარგებლე პირს სკოლაში სართულებზე გადაადგილება არ შეუძლია. ადაპტირებულია სველი წერტილები. სკოლაში ვიზუალური დათვალიერებით მოწესრიგებული რესურსოთახია აღჭურვილი შესაბამისი რესურსებით, **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული. სკოლამ თვითშეფასების კითხვართან ერთად გადმოგზავნა ცენტრში შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა სადაც განსაზღვრულია ვადები (25.03.2026), რითაც უზრუნველყოფილი იქნება პანდუსის მოწყობა. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისია.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. აქვს ეზო, რომელიც გამწვანებულია. ეზოში და სკოლის შენობის შიგნით არის რეკრეაციული სივრცეები. სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ იგეგმება მათი კიდევ უფრო კეთილმოწყობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ვიზუალური დათვალიერებით;

მატერიალური რესურსების ფლობის დიკუმენტაციით;

შენობის აზომვითი ნახაზით;

ინვენტარიზაციის შედეგებით;

ბიბლიოთეკის დებულებით.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში 32 კომპიუტერია, აქედან 26 ლეპტოპია და 8 პერსონალური კომპიუტერი. კომპიუტერულ კლასში ხელმისაწვდომია 6 პერსონალური კომპიუტერი და 10 ლეპტოპი; სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. სკოლის მთელი ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით, აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერით . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს ტექნოლოგიების კაბინეტით სარგებლობის განრიგი, მასწავლებლების სარგებლობაშია ასევე ლეპტოპები, პროექტორი და სხვა ტექნიკა საგნობრივი პროგრამების

მიზნების მიღწევს ხელშეწყობისათვის.სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ვიზუალური დათვალიერებით;

საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაციით;

ციფრული განვითარების გეგმით.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი; სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი; დაწესებულებამ წარმოადგინა საქმისწარმოების წესი. აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობისთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას და სხვ. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლა იყენებს საქმისწარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს. Eflow - ს სისტემაში გატარებულია ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს ESCHOOL.EMIS.GEGE ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმეთამმართველი და საინფორმაციო მენეჯერი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ის სისტემის მეშვეობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; სკოლას აქვს

ESCHOOL.EMIS.GEGE საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. აღნიშნული დასტურდება შემოსული და გასული კორესპონდენციების ჟურნალში გატარებული მონაცემებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საქმისწარმოების წესი;

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;

შემოსული და გასული კორესპონდენციებით;

ინტერვიუს შედეგებით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები,

მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- 1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;** სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; დაწესებულება ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდის გზით <https://skolebi.emis.ge/schools/1322?schoolName; ამასთან საკომუნიკაციო არხად იყენებს ასევე სკოლის ოფიციალურ ფეისბუქის გვერდს და სკოლის ელ, ფოსტას;kuchatani@mes.gov.ge> **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
- 2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;** სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია არის უტყუარი და სანდო. სკოლის ღირეუცია იღებს პასუხისმგებლობას გვერდის ადმინისტრირებაზე და გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
- 3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;** დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კითხვარები, რომლის მიხედვით სკოლა იღებს უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებიდან საკუთარი საქმიანობის შესახებ, სკოლის ღირეუცტორის ინტერვიუს მიხედვით, სკოლა ღიაა სხვადასხვა არხებით მიიღოს ინფორმაცია სკოლის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
- 4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;** სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. <https://skolebi.emis.ge/schools/1322?schoolName> **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
- 5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.** დაწესებულების ვებგვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის

შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ხელმისაწვდომია სკოლის სამოქმედო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი და სხვ, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ვებ-გვერდის დათვალიერებით;

მართვის საინფორმაციო სისტემის დათვალიერებით;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;** სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. დაფინანსების წყაროები ასახულია სკოლის ბიუჯეტში და მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. სკოლის ბიუჯეტის განკარგვას სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს, ფინანსური ანგარიშგება კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება და შესრულების ანგარიში წარედგინება ფინანსურ სამსახურს. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტით;
ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებით;
დაფინანსების ანალიზის შედეგებით;
სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგებით.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. მოსწავლის უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია სკოლის შინაგანაწესით, რომელიც ხელს უწყობს სკოლაში მოსწავლეთა განათლებისთვის ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ხელმისაწვდომობას და შექმნას. შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებები და პასუხისმგებლობები. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების გადაცდომის საკითხებს, ასევე ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის საქმიანობაც მიემართება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; სკოლის შინაგანაწესი, დებულება და სხვა მარეგულირებელი აქტები ხელმისაწვდომია სკოლის ვებ გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე, ხოლო დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება მოსწავლეთათვის. აქედან გამომდინარე მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. სკოლას მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;

მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები; სკოლა მოსწავლეთათვის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების შესაბამისად. სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვა სკოლაში ხდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. საფეხურის დაძლევის გამჭვირვალე მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ მოსწავლეთათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე. სკოლას შემუშავებული აქვს ცალკე დოკუმენტად (ბრძ. N 2-12; 29.03.2024) მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; მოსწავლეთა პირადი საქმეების და მართვის საინფორმაციო სისტემის eschool შესწავლით, სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი; სკოლის განმარტებით, დამატებითი მომსახურება არ ხორციელდება, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლა ინფორმაციას სისტემატურად აწვდის მშობლებს დამრიგებლების მეშვეობით. სხვადასხვა აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება პირისპირ შეხვედრის სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს დააზუსტეს, რომ სკოლა დამატებით სერვისებს მოსწავლეებს ამ ეტაპზე არ სთავაზობს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/ აღდგენისა და შეჩერების წესი;

სკოლის ვებ გვერდი;

ინტერვიუს შედეგები;

მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები;

საერთო ბრძანებები;

Eschool ბაზა

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შესაბამეა

☐ მეტწილად შესაბამეა

☐ ნაწილობრივ შესაბამეა

☐ არ შესაბამეა

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

